ადამის შვილი მაბრალებს სიცრუეს, თუმცა ამის უფლება არ აქვს. ასევე, ადამის შვილი შეურაცხყოფასმაყენებს, თუმცა ამის უფლებაც არ გააჩნია

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა, რომ ალლაჰმა ბრძანა: «ადამის შვილი მაბრალებს სიცრუეს, თუმცა ამის უფლება არ აქვს. ასევე, ადამის შვილი შეურაცხყოფასმაყენებს, თუმცა ამის უფლებაც არ გააჩნია. სიცრუის დაბრალება ის არის, როცა ის ამბობს: 'ის აღარ აღმადგენს ისე, როგორც პირველად შემქმნა'. მაგრამ ჩემთვის თავიდან შექმნაც და ხელახლა აღდგენაც ერთნაირად მარტივია! რაც შეეხება ჩემს შეურაცხყოფას, ეს მისი სიტყვებია: 'ალლაჰს ჰყავს შვილი'. მაგრამ მე ვარ ერთადერთი, სრულყოფილი და თვითკმარი. მე არ გავაჩინე და არც გავჩენილვარ, და არ არსებობს არაფერი მსგავსი ჩემი!“

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰადის ყუდსიში განმარტა, რომ ყოვლისშემძლე და დიადი ალლაჰი მიუთითებს იმაზე, რომ მუშრიქები და ურწმუნონი მას სიცრუეს აბრალებენ და მასთან აკავშირებენ ნაკლოვანებებსა და მახინჯ თვისებებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ეს არ შეჰფერის და ამის უფლება არ აქვთ. რაც შეეხება ალლაჰზე სიცრუის დაბრალება: ეს მათი მტკიცებაა, რომ ალლაჰი არ აღადგენს მათ სიკვდილის შემდეგ ისე, როგორც პირველად შექმნა არ არსებობიდან. ალლაჰი უპასუხებს მათ, რომ ვინც პირველად არ არსებობიდან შექმნა ქმნილება, შეუძლია მათი აღდგენა და ეს მისთვის უფრო მარტივია. თუმცა ალლაჰისთვის ორივე საქმე — ქმნა და აღდგენა — თანაბრად მარტივია, რადგან ალლაჰი ყოვლისშემძლეა ყოველივეზე. რაც შეეხება ალლაჰის შეურაცხყოფას: ეს არის მათი სიტყვა, რომ ალლაჰს ჰყავს შვილი. ალლაჰი უპასუხებს, რომ ის არის (ერთი), რომელსაც ყველა სრულყოფილება აქვს მის სახელებში, თვისებებსა და ქმედებებში, და რომელიც სრულიად თავისუფალია ყოველგვარი ნაკლისა და ხარვეზისგან. ის არის სამედი(თვითკმარი და დამოუკიდებელი), სრულყოფილი, რომელიც არ საჭიროებს არავის, ხოლო ყველა მასზეა დამოკიდებული. ალლაჰი არ არის არავის მამა, არც არავის შვილი, და არავინ არის მისი მსგავსი ან თანასწორი. ყოვლადწმინდაა ის და ამაღლებული.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/6327